


# სახალხო გაზეტი

საქართველოს  
საბჭოთაო  
კულტურის  
მინისტრის  
სამაგისტრო  
ბიუროს  
გამართის  
№ 500

№ 500

ლაგატივის № 88

შაბათი, 14 იანვარი 1912 წ.



სასოწარკვეთილება. ქანდაკება როდენისა.





ალი შიიტების დამაარსებელი. პირველი იმამი.



მირზა შაფი-ალა,  
მუშტიდი და შიიტების შეფი.

# ჭ ა ლ ბ ი

(დასასრული \*).

ტასომ ხმა აღარ გასცა. იგი ფიქრმა გაიტაცა. ჰფიქრობდა ტასო და თან თავის გრძობებს უგდებდა ყურს. ემძიმებოდა ისევე უთავბოლოდ გაეტარებინა ცხოვრება: როგორც მის ამხანაგს გაუტარებია.

— ჰქრება, ფუჭდება სიცოცხლე! — ელვის სისწრაფით გაუბრუნა თავში ამ აზრმა; სასოწარკვეთილება იპყრობდა ტასოს მთელ არსებას. აშინებდა, აბრთხოებდა.

— კატო! — რასა ჰფიქრობ? ჩვენს წარსულსა? — ჰკითხა სამსონმა.

- არა.
- აწყყოსა?
- არა.
- მაშ რაზე ჰფიქრობ?

— ჩემს თავზე. იმას თუ როგორ გავატარე ცხოვრება, სად მივაღო. ტასომ დამაყენა ამ ფიქრზე, რად არის ჩემი ცხოვრება ფუჭი? თითქოს კეთილშობილი საქმე მაქვს დაკისრებული: ხალხის სწავლება. რატომ კმაყოფილი არა ვარ. მწყინს, რომ გულითა ვმუშაობ და კი არაფერი გამოდის. რატომ არ გამოდის! რატომ!

— რაღა დღეს მოგინდათ ეგ ფიქრი, როცა დღეობაა, ხალხი მხიარულობს. ბედს ემდურებით! — ჰკითხა სამსონმა და პაპიროსს მოუკიდა.

— ვემდურები. — უბასუხა კატომ. — თქვენ კი მაღლიერი ხართ თქვენი ბედისა?

— მაღლიერი? — მხრები აიწია სამსონმა. — რა მოგახსენოთ. ეგ, მგონი, არას დროს არ მიფიქრია. უეჭველია, იმიტომ რომ არა ვტანჯულიყავ. ცხოვრება განვლე. 35 წელი დიდი დროა. შეყვარებული ვიყავ, ვიტანჯე, ჯვარი დავიწერე, სიყვარული გაჰქრა, დავკვირვდი და დავცარიელდი. მაგრამ იმედი მაქვს, რამე რიგიან საქმეს დავადგები და ყველაფერი გამოსწორდება.

— საქმეს?! რა საქმეს? — გაიკვირვა ტასომ.

— ჰო, საქმე ბევრია. — თითქოს თავისთვის დაუმატა მან და ჩაიციხა. — სხვა საქმეს ვეძებთ, ჩვენი კი არ გვიყვარს. — იმავე კილოთი სთქვა კატომ.

— ძალიან მოსაწყენი ხალხი ხართ! — სთქვა სამსონმა. — ტასომ ველარ გასძლო. ველარ შესძლო მომდგარ გრძობათა და აზრთა ატანა, ველარ გაუძლო მის გამაზიზღინებელ ლაპარაკს; მძიმედ მიბრუნდა, ხელები დაიკიმა და ამხანაგებს უთხრა.

- შინ წავიდეთ. მომბეზრდა აქ ყოფნა.
- სად შინ? — გაიკვირვა სამსონმა.
- შინ, სოფელში, აქ აღარ მინდა ყოფნა.
- ქალო რას ამბობ! რა დროსია, შუა-ღამეა. რა დროს წასვლაა.

- არა, წავიდეთ.
- სად უნდა წახვიდე, რას ამბობ, ადამიანო! — უთხრა ტასომ. — დაღალული ვარ, სიარულის თავი აღარა მაქვს.
- წავიდეთ. — ბავშურის ჯიუტობით ამბობდა ტასო.
- შუაღამისას?
- რა უშავს მერე?



ატრპეტი,

სპარსეთის ცხოვრების კარგი მცოდნე, რომელსაც რამდენიმე წიგნი აქვს შედგენილი და დაბეჭდილი რუსულად.

\*) იხ. სურათებიანი დამატება, № 87.





სურათების არეულია.




ზედუში ზორაბერი, ბარელეფი ბეილისთუნის ერთ კლდეზე.

საშინელი იყო ახალგაზდა, ძალ-ღონით და სიყვარულის ჟინით სავესე გულისათვის ბუნების ამ სამშვენიერის ცქერა, იქ სახლში, დახშულ ოთახში, დარდი და სევდა დაიძინებდა, გაჰქრებოდა ფიქრი და ტანჯვაც აღარ იქნებოდა. აქ კი ყველაფერი, ყველაფერი დაკარგულ სიცოცხლისადმი სევდასა ჰგვრიდა ადამიანს და აღიზიანებდა. ამიტომ იყო, რომ ტასო ასე ჯიუტად ითხოვდა შინ წასვლას.

- ჩვენ ვერ წამოვალთ, — უთხრა სამსონმა. — სამი ვერსი გზა სად უნდა ვთვლო ამ შუა ღამისას, დაღალულმა ადამიანმა.
- მაშ მარტო წავალ. — გადაჭრითა სთქვა ტასომ.
- მიბძანდი. — უთხრა სამსონმა.
- მოკლე გზა ვიცი, ხელად ჩავალ... სთქვა ტასომ და გაბრუნდა.
- ტასო! რასა სჩადიხარ? არ გეშინიან მაინცა?
- არა, რისა უნდა მეშინოდეს! — უკვე შორიდან გასცა პასუხი ტასომ და ღამის სიბნელეში დაიშალა, ხეებს მიეფარა.
- რა ჯიუტია! — სთქვა კატომ.
- თავქარიანია! — გაუსწორა სიტყვა სამსონმა.

სურათების არეულია



ძველ შაჰის მომხრენი, რომელნიც ქაშანში მის სასარგებლოდ მოქმედებენ.

— ნუ თუ მართლა წავა?  
 — წავა კი არა! ეხლავე დაბრუნდება.  
 ტასო კი ნელა მიდიოდა. ქვემოდ ქვევზე ხტებოდა, რადგანაც მართლა მოკლე გზა აირჩია, ხეებსა და ტოტებს ებლაუჭებოდა, როცა დაღმართებზე უხდებოდა სიარული, რომ არ დაცურებულიყო, და მიდიოდა. არ ეშინოდა, არც ტყისა, არც კლდებისა, არც ღამისა. პირ-იქით, გულადად მიდიოდა და ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ შიში შეიძლებოდა. წელანდელმა გრძობებმა კი იმატეს. მხოლოდ გული დასუმბუქდა, მაგრამ იგი მაინც ჰკენესოდა, მაინც ნახ, მოალერსე ცრემლებით ივსებოდა, ჰკრთოდა, ჰკანკალებდა, სიცოცხლის ძალას ეძებდა, ეძებდა სიყვარულს, ალერსს, სიხარულს, ტასოს სახე მხიარული ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა და სატირლად ემზადებოდა, მთვლს სხეულში სიმსუბუქესა ჰგრძობდა, გული კი ნელ-ნელა ისევ მძიმდებოდა, სახე უფითრდებოდა, გონება კი მოუწყობლად ჰფიქრობდა. ფიქრი მისი გაურკვეველი იყო, ერთ ძაფს ვერ დასდგომოდა, უფრო ოცნებასა ჰგავდა, ვიდრე ფიქრს. გონება გულსავით რალაცას ძლიერს ეძებდა, ძლიერს, თუნდა მრისხანეს, ოღონდ კი ახალს, ცოცხალს.

— სხვის ცხოვრების მოწესრიგებასა ჰფიქრობენ, თავიანთი კი ქაობში უღლებათ. — გაიფიქრა ტასომ, როცა კატოსი და სამსონის წელანდელი ლაპარაკი მოაგონდა, მერე ერთი გმირული რომანი გაიხსენა, ოდესღაც ჰქონდა წაკითხული. იქ ერთი სიყვარულის ამბავი იყო აწერილი; მოთხრობილი იყო ქალის ტანჯვა, ბრძოლა, გატაცება, მღევარი, ციხე-დარბაზი და სიყვარული, სიყვარული... დიდი სიყვარული. ყველაფერი ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოაგონდა, ყველაფერმა თავში გაუფლვა და გააფრქოლა. ტასომ მიიხედ-მოიხედა და ტყის ნაპირს დააცქერდა, თითქოს იქიდან ვინმე გამოვიდოდა, მას მოიტა-




ძველ შაჰის მომხრენი, რომელნიც მის სასარგებლოდ მაზანდერანში მოქმედებენ.



ბატყარების ჯგუფი.



სკარსეთის არეულობა.



ბალი — შემაღლის ჩრდილოეთის მხრივ მდებარე ქუჩა თავრიზში. ამ სახლებიდან აუტყხეს სროლა რუსის ჯარს.

ცებდა, თოფის სროლას და ყიჟინას ასტყებდა. მაგრამ ირგვლივ ბუნება წელანდებურად მშვიდი და მშვენიერი იყო. მდელი, რომელზედაც ტასო ეხლა მოდიოდა, მთვარის შუქით იყო განათებული, ლურჯი შუქი მოჰყვებოდა ქვეყანას. შორეულ მთების სავარცხელს ნათელი ზოლი გაჰკროდა, ნაძვები და ფიჭვები ცადალმართულნი, ჩაშავებულიყვნენ და არ იძროდნენ. მუხებს განივრად გაეშალათ ტოტები და ფოთლებს ათამაშებდნენ. გზის პირად რუ ჩხრიალებდა, ქვებიდან-ქვებზე მიხტოდა და მთვარის შუქს; რომელიც მის ტალღებს ჩაჰქსოვდა, ალერსით ანაოქებდა. შორს მკაფიოდ არა მოსჩანდა-რა. ტასო ბუნების სიჩუმეს ყურს უგდებდა; ალერსით შედიოდა ეს სიჩუმე მის ყურში და უსმენელ გალობით ატკობდა. ტასო ღამის ლურჯ-სიშავეს უცქეროდა; სიშავე მის თვალეში ალერსით გამოჰკროდა და ციპციებდა. ტასო დაქანებულ ბილიკს მისდევდა, სულ წინ მიდიოდა და არ კი იცოდა სად. კარგი იყო ბუნება, მისი ალერსი, მისი გალობა. ტასოს ეგონა, რომ ამ ბუნების თვით სიღრმეში მივდივარო და რაც უფრო ძეტს გავივლი, მით უფრო ღრმად შევალ ბუნებაში, შიგ გულში ჩავუძვრებო. არც კი უფიქრია, რომ შინ მიდიოდა, არც უნდოდა, რომ გზა დაჰლეოდა. უნდოდა მხოლოდ ასე ევლო, სულ წინ წასულიყო, შეჰრეოდა ბუნებას, თვით ბუნებად ქცეულიყო. ტასოს მთელი ეშხი გაორკეცდა, გაღამაზდა; ახალგაზღურმა სისხლმა უჩვეულად დაიწყო ჩქეფა, და როცა ტასო ბუნებას ყურს უგდებდა, უყურებდა მას, ჰგრძნობდა სისხლის ჩქეფასა და გულის კენესას, ღონდებოდა.

— სიცოცხლე! სიცოცხლე! — ბუტბუტებდა ტასო დიმიდიოდა, თან ტანში ჟრუანტელი უვლიდა. და ერთბაშად მოუწინა მეტი თავისუფლება, მეტი ბუნებრივობა და თმები გაიწეწა. ამ დროს იგი ერთ პანტასთან მივიდა, ძირს ნაგდები ნაყოფი აიღო და გაჰკიჩა. შემდეგ ხის ძირად, მიწაზე დაჯდა და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო, თითქოს ვილაცას ელისო. კარგი იყო ყველაფერი, მაგრამ გულს რაღაც აკლდა.

— ჯერ არავინა მყვარებია. ვაფიქრა ტასომ. — სიცოცხლე! ფუქტება სიცოცხლე. ბუტბუტებდა იგი. ხალათის ღილები გაიხსნა და მკერდი სიოს მიუშვირა. რა არ გაუელვა თავში, რა არ იფიქრა! იმ წუთს სიყვარულის ერთ კოცნაში სიცოცხლეს მისცემდა, სიყვარულის ერთ ალერსში თავს გაჰყიდდა. ერთხელ კიდევ მოიგონა თავისი წარსული და მძლავრად ამოიხრა. მერე მიწას დასწვდა და აკოცა. ბალახებმა ტუჩ-ნიკაპი და ლოყები დაუჩხვლიტა. თავი ასწია, მიიხედ-მოიხედა და წაიჩურჩულა.

— სიცოცხლე! სიყვარული! ხელები გაიშვირა, თითები გაიტაკუნა და ტუჩები საკოცნელად გაამზადა.

ირგვლივ სიჩუმე იყო. ჰაჰანება არავისი ისმოდა. ახალგაზრდა გული კი აფეთქდა.

„ნუ თუ ყველაფერი გაჰქრება? ყველაფერი ფუქად ჩივილის? რად უნდა დაილუპოს სიცოცხლე, რად უნდა გაჰქრე? ნეტავი ვინმე იყოს... გული გავუხსნა.“ — ჰფიქრობდა ტასო. მთვარეს შეჰხედა და გაფითრებულ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ტასომ თვალეზე ხელსახოცი მიიფარა, თავი მიწაზე დადო და აქვითინდა. გაწეწილი თმები ბალახებში გაიბნა, ხმელი ტოტები სჩვლეთდა, ტასო კი ტიროდა, ქვითინებდა. ტირილის მიზეზი არ ესმოდა, მაგრამ ტიროდა გულიანად, ტიროდა მთელი სხეულით, სულით, გულით. უხვად

მოსდიოდა ცრემლი და ცრემლთან ერთად ჰნელდებოდა ის მკენესარე მოყუყუნე გრძნობა, რომლითაც აქამდის გული სავსე იყო. დნებოდა გრძნობა, გული სუბუქდებოდა, მაგრამ რაც უფრო მეტად სუბუქდებოდა გული, მით უფრო მეტი ცრემლი იღვრებოდა და რაც უფრო მეტი ცრემლი იღვრებოდა, გული მით უფრო სუბუქდებოდა. ეს ცრემლი იყო დასაკარგად გამზადებულ სიცოცხლისა, იგი ცხოვრებასა თხოულობდა, აზრს არსებობისას. ეს ცრემლი იყო უსიყვარულოდ, უტრფიალოდ გაზრდილ გულისა, ყველა იმ განუხორციელებელ სურვილებისა, აზრებისა და იმედებისა, რომლებიც ბავშობაში ბუნდად ესაზებოდა ტასოს, მის ზრდასთან ერთად ბუნდოვანადვე იზრდებოდა და დაკაყოფილებას ეძებდა. სტიროდა სიცოცხლე ახალგაზღური, სტიროდა უქონელ სიყვარულს, სტიროდა მარტოობას. ბუნება კი ისევ წელანდებურად მშვენიერი იყო, ნაზი, ფაქიზი, რბილი და მოალერსე. ცივი მიწა იზრობდა ცხელ ცრემლებს, რუ ბანს აძლევდა ახალგაზღურ ქვითინს და მთვარის შუქს ანაოქებდა.

— ტასო! აქ რას აკეთებ? რა გატირებს? — ნაზად დასძახა ვილაცამ. ტასო შეჰკრთა, თავი ასწია და ცრემლები მოიწმინდა. კატო იყო. მის საძებნელად წამოსულიყო და თან სამსონი წამოეყვანა. სამსონის დანახვაზე ტასომ ხალათის ღილები შეიკრა, თმები გაიწეწა და გაიღიმა. თითქოს შერცხვა თავის უმანკო ცრემლისა, გულ-ამოსკვნილ ქვითინისა.

— რა გატირებდა? შეგეწმინდა? — ჰკითხა კატომ. ტასო ნელა წამოდგა და მიწას ჩააცქერდა. ერობაშად მოიგონა ყველაფერი, რაც ამ საღამოს გამოსცადა და ამოიხრა. რად დაუშალეს ტირილი? რად დაუშალეს ოცნება, დარდი, გულის კენესა, ამდენი მოზღვავებული გრძნობები რად დაუბრთხეს? რისთვის მოვიდნენ აქა? ტასოს ენანებოდა შეწყვეტილი ტირილი. იტირებდა, იტირებდა... როდემდის იტირებდა? ტასო დარწმუნებული იყო, რომ მუდამ ასე იტირებდა და ამ ტირილს არას დროს არ გაათავებდა. ამოიტირებდა ბალღამს, რომელიც მარტო გულში კი არა, მთელ სხეულში ედგა, ამოიტირებდა ყველაფერს, ყველაფერს. აქ ბუნებასთან იყო, ბუნება იყო მასთან; მარტოობა სასიამოვნო იყო. ეს მარტოობა იმას არა ჰგავდა, რომელსაც იგი ხალხში ჰგრძნობდა. აქ თითქმის სიცოცხლე იყო, იყო სიყვარული და სიხარულიც, თუმცა ცრემლიანი, მაგრამ მაინც იყო. ვერ გავგო თუ რისთვის მოვიდნენ მასთან, რა უნდოდათ მისგან, რად დაუშალეს ტირილი, ნეტარება! ტიროდა ტასო, მაგრამ ბედნიერი იყო, თავისუფალი. ამ ხალხმა კი ყველაფერი წაართვა, წელანდელზე მძლავრად იგრძნო, რომ უბედური იყო, უბედური იყო ხალხში, უბედური იყო ცხოვრებაში. იგრძნო ესა, მძიმედ ამოიხრა და თავი უფრო ჩაჰკიდა.


— წავიდეთ, რაღას გაჩერდი? წამო! — უთხრა კატომ და წელზე ხელი მოჰხვია. ტასომ თვალეები მოიწმინდა, ამოიხრა, სივრცეს გაჰხედა და სთქვა!

სად წამოვიდე?


— მერე კი ნელა დაჰყვა კატოს ხელის ნელ მოძრაობას, რომელმაც იგი ბილიკზე დააყენა. ტასო ამხანაგებს გაჰყვა.

იგი იმ გზითვე წავიდა, რა გზითაც წელან მოვიდა ამ ადგილას.

ი. ტატიშვილი.



სკარსეთის არეულობა.



რუსის ჯარის მიერ თავრიზში დანგრეული სახლები, საიდანაც მათ სროლა აუტყხეს.